## ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## იურიდიული ფაკულტეტი

### საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საერთაშორისო სამართალი/International Law

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად):** საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი/Bachelor of International Law

**სწავლების ენა:** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 190 ECTS

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 190 ECTS კრედიტს, საშუალოდ წელიწადში – 64 კრედიტს, სემესტრში – 32 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 3 წელს ანუ 6 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირინე ქურდაძე

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

### 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების

საფუძველზე.

## 11. პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად.
პროგრამა მოიცავს როგორც ძირითადი სწავლის სფეროს (სამართლისა და საერთაშორისო სამართლის) შესაბამის, ისე თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კურსების სახით.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობა შეადგენს 190 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგი სახით:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 11 კრედიტი;
- სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები - 93 კრედიტი;
- საერთაშორისო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები - 62 კრედიტი;
- საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (11 ECTS) ორიენტირებულია სტუდენტის ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, სამართლებრივი ინგლისურისა და ასევე მართლწერის უნარების გამომუშავებაზე.

სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები (93 ECTS) მიზნად ისახავს სამართლის სისტემურ შესწავლას და მოიცავს შემდეგ დარგობრივ მიმართულებებს: სამართლის საფუძვლები და მეთოდები (9 ECTS), საჯარო სამართალი (26 ECTS), კერძო სამართალი (36 ECTS) და სისხლის სამართალი (22 ECTS).

საერთაშორისო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები (62 ECTS) სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი.

საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსები (24 ECTS) საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი, მაგრამ არა უმეტეს 12 კრედიტისა.

დანართი №1

## სასწავლო გეგმა

| სასწავლო კურსის კოდი | სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება | ECTS კრედიტი /საათი | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | | სწავლების სემესტრი | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები | | |
| I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (11 ECTS) | | | | | | |
| ILAWB1001 | სამართლებრივი ინგლისური - 1 | 3/75 | 60 | 15 | 1 | არ გააჩნია |
| ILAWB1002 | სამართლებრივი ინგლისური - 2 | 3/75 | 60 | 15 | 2 | ILAWB1001 |
| ILAWB1003 | ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის | 5/125 | 55 | 70 | 1 | არ გააჩნია |
| II. სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები (93 ECTS) | | | | | | |
| 2.1. სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულებით (9 ECTS) | | | | | | |
| ILAWB2101 | შესავალი სამართლისმცოდნეობაში | 5/125 | 55 | 70 | 1 | არ გააჩნია |
| ILAWB2102 | ქართული სამართლის ისტორია | 4/100 | 43 | 57 | 1 | არ გააჩნია |
| 2.2. საჯარო სამართლის მიმართულებით (26 ECTS) | | | | | | |
| ILAWB3101 | საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი | 6/150 | 55 | 95 | 1 | არ გააჩნია |
| ILAWB3102 | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | 5/125 | 55 | 70 | 2 | ILAWB3101 |
| ILAWB3103 | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი | 6/150 | 55 | 95 | 3 | ILAWB3101 |
| ILAWB3104 | ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამართალი | 4/100 | 43 | 57 | 4 | ILAWB3103 |
| ILAWB3105 | ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი | 5/125 | 55 | 70 | 5 | ILAWB3104, ILAWB4105 |
| 2.3. კერძო სამართლის მიმართულებით (36 ECTS) | | | | | | |
| ILAWB4101 | შესავალი სამოქალაქო სამართალში | 5/125 | 55 | 70 | 1 | არ გააჩნია |
| ILAWB4102 | სანივთო სამართალი | 5/125 | 55 | 70 | 6 | ILAWB4101 |
| ILAWB4103 | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | 5/125 | 55 | 70 | 2 | ILAWB4101 |
| ILAWB4104 | ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი | 5/125 | 55 | 70 | 3 | ILAWB4103 |
| ILAWB4105 | სამოქალაქო საპროცესო სამართალი | 6/150 | 55 | 95 | 4 | ILAWB4104 |
| ILAWB4106 | საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი | 5/125 | 55 | 70 | 6 | ILAWB4104 |
| ILAWB4107 | საკორპორაციო სამართალი | 5/125 | 55 | 70 | 5 | ILAWB4104 |
| 2.4. სისხლის სამართლის მიმართულებით (22 ECTS) | | | | | | |
| ILAWB5101 | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | 6/150 | 55 | 95 | 2 | არ გააჩნია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ILAWB5102 | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | 5/125 | 55 | 70 | 3 | ILAWB5101 |
| ILAWB5103 | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები) | 5/125 | 55 | 70 | 4 | ILAWB5102 |
| ILAWB5104 | სისხლის საპროცესო სამართლი | 6/150 | 55 | 95 | 4 | ILAWB5102 |
| **III. საერთაშორისო სამართლის სასწავლო კურსები (86 ECTS)** | | | | | | |
| **3.1. სავალდებულო სასწავლო კურსები (62 ECTS)** | | | | | | |
| ILAWB6101 | შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში | 4/100 | 55 | 45 | 1 | წინაპირობის გარეშე |
| ILAWB6102 | საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 1 | წინაპირობის გარეშე |
| ILAWB6103 | საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი დარგები | 4/100 | 55 | 45 | 2 | ILAWB6101 ან ILAWB6102 |
| ILAWB6104 | საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი: გლობალური სტანდარტები | 4/100 | 55 | 45 | 2 | ILAWB6101 ან ILAWB6102 |
| ILAWB6105 | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 2 | ILAWB6101 ან ILAWB6102 |
| ILAWB6106 | საერთაშორისო საჯარო სამართალი სასამართლო პრაქტიკაში | 4/100 | 55 | 45 | 3 | ILAWB6101 |
| ILAWB6107 | საერთაშორისო ინსტიტუტები და საქართველოს პრაქტიკა | 4/100 | 55 | 45 | 3 | ILAWB6103 ან ILAWB6104 |
| ILAWB6108 | საერთაშორისო საზღვაო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 3 | ILAWB6102 ან ILAWB6103 |
| ILAWB6109 | დიპლომატიური სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4 | ILAWB6102 |
| ILAWB6110 | მიგრაციის საერთაშორისო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4 | ILAWB6104 ან ILAWB6105 |
| ILAWB6111 | საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 5 | ILAWB6103 |
| ILAWB6112 | სახელმწიფო საერთაშორისო სამართალში | 4/100 | 55 | 45 | 5 | ILAWB6103 ან ILAWB6104 |
| ILAWB6113 | საერთაშორისო სავაჭრო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 5 | ILAWB6104 |
| ILAWB6114 | საერთაშორისო სისხლის სამართალი (კონცეფციები) | 4/100 | 55 | 45 | 5 | ILAWB6103; ILAWB5101; ILAWB1002 |
| ILAWB6115 | რეპეტიტორიუმი საერთაშორისო სამართალში | 6/150 | 55 | 95 | 6 | საერთაშორისო სამართლის სავალდებულო კურსებიდან 52 კრედიტი ILAWB3105 ILAWB4105 ILAWB5104 |
| **3.2. არჩევითი სასწავლო კურსები (24 ECTS)** | | | | | | |
| ILAWB6201 | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103 |
| ILAWB6202 | საერთაშორისო საჰაერო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103 |
| ILAWB6203 | საკონსულო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6104 ან ILAWB6109 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ILAWB6204 | საერთაშორისო სანაოსნო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103 |
| ILAWB6205 | რელიგია და საერთაშორისო სამართალი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103 |
| ILAWB6206 | ადამიანის უფლებები და მრავალფეროვნება, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6105 |
| ILAWB6207 | საერთაშორისო სისხლის სამართალი (ინსტიტუტები) | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103; ILAWB5101 |
| ILAWB6208 | ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6103; ILAWB1002 |
| ILAWB6209 | საერთაშორისო სამართალის პრაქტიკული კურსი | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6107 |
| ILAWB6210 | ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების სამართალი (ინგლისურ ენაზე) | 4/100 | 55 | 45 | 4-6 | ILAWB6104; ILAWB1002 |

დანართი №2

## სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო სემესტრული განაწილება

| 1 სემესტრი | ECTS | 2 სემესტრი | ECTS |
|---|---|---|---|
| სამართლებრივი ინგლისური - 1 | 3/125 | სამართლებრივი ინგლისური - 2 | 3/125 |
| ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის | 5/125 | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | 5/125 |
| შესავალი სამართლისმცოდნეობაში | 5/125 | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | 5/125 |
| საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი | 6/150 | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | 6/150 |
| შესავალი სამოქალაქო სამართალში | 5/125 | საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი დარგები | 4/100 |
| შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში | 4/100 | საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი: გლობალური და რეგიონალური სტანდარტები | 4/100 |
| საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი | 4/100 | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი | 4/100 |
| 3 სემესტრი | ECTS | 4 სემესტრი | ECTS |
| ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი | 6/125 | ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამართალი | 4/100 |
| ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი | 5/125 | სამოქალაქო საპროცესო სამართალი | 6/150 |
| სისხლის სამართალი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) | 5/125 | სისხლის საპროცესო სამართალი | 6/150 |
| ქართული სამართლის ისტორია | 4/100 | სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) | 5/125 |
| საერთაშორისო საჯარო სამართალი სასამართლო პრაქტიკაში | 4/100 | დიპლომატიური სამართალი | 4/100 |
| საერთაშორისო ინსტიტუტები და საქართველოს პრაქტიკა | 4/100 | მიგრაციის საერთაშორისო სამართალი | 4/100 |
| საერთაშორისო საზღვაო სამართალი | 4/100 | საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 |
| 5 სემესტრი | ECTS | 6 სემესტრი | ECTS |
| ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი | 5/125 | რეპეტიტორიუმი საერთაშორისო სამართალში | 6/150 |
| საკორპორაციო სამართალი | 5/125 | სანივთო სამართალი | 5/125 |
| საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი | 4/100 | საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი | 5/125 |
| სახელმწიფო საერთაშორისო სამართალში | 4/100 | საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 |
| საერთაშორისო სავაჭრო სამართალი | 4/100 | საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 |
| საერთაშორისო სისხლის სამართალი (კონცეფციები) | 4/100 | საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 |
| საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 | საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსი | 4/100 |